

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წ. პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
დამატებითი პროგრამა შეთავაზებული იქნება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტებს შეეძლებათ მე-3 სემესტრის დაწყებამდე.	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია</p> <ul style="list-style-type: none"> შეასწავლოს სტუდენტებს აკადემიური ხატვა და ფერწერა, როგორც სახვითი ხელოვნების ფუნდამენტური დარგები და ამასთან ნებისმიერი გამოყენებითი ხელოვნების დარგის შესწავლისთვის აუცილებელი საფუძველი. გააცნოს მათ სხვადასხვა სახატავი და ფერწერული მასალის (ფანქარი, ნახშირი, სოუსი, სანგინა, აკვარელი, გუაში, ტემპერა, ზეთი) ტექნოლოგიური თავისებურებანი, ამ მასალებით მუშაობის ხერხები, ფერწერული და გრაფიკული კომპოზიციის საფუძველები. შეასწავლოს სტუდენტებს სახვითი ან გამოყენებითი ხელოვნების ერთი, ან რამდენიმე დარგის ზოგადი მახასიათებლები, მისი სპეციფიკა (შერჩევით), გაარკვიოს ისინი შერჩეული დარგისთვის დამახასიათებელ კომპოზიციურ თავისებურებებში, შესაბამისი მასალებით მუშაობის ტექნოლოგიასა და ტექნიკაში. განავითაროს სტუდენტის შემოქმედებით/პრაქტიკული უნარები, და ესთეტიკური გემოვნება, გაზარდოს მისი მხატვრული ოსტატობა. 	
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	
<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა:</p> <ul style="list-style-type: none"> იცის აკადემიური ხატვის ძირითადი კანონები (კონსტრუქციული და პლასტიკური), ხატვის თეორიული და პრაქტიკული ელემენტები, ფორმის აგების ლოგიკა და სივრცის ორგანიზების ძირითადი პრინციპები, სახატავი მასალების მახასიათებლები და ტექნოლოგიური თავისებურებები; იცის კოლორისტული ფერწერის ძირითადი კანონები (ფერი, ტონი, კოლორიტი, განათება), ფერწერული მასალების (აკვარელი, გუაში, ტემპერა, ზეთი) ტექნოლოგიური თავისებურებები. <p>დაზგური ფერწერისა და ენკაუსტიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> დაზგური ფერწერის კომპოზიციის სხვადასხვა ჟანრის (ნატურმორტი, ინტერიერი, პეიზაჟი და სხვ.) ძირითადი კანონები, გამომსახველობითი ელემენტები (სასურათო სიბრტყე, გეომეტრიული ცენტრი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი, ხედვის წერტილი და სხვ.); ნახატის კომპოზიციის გამომსახველობითი ელემენტები, სხვადასხვა სახატავი მასალის გამოყენებით (ფანქარი, ნახშირი, სოუსი, ტუში, სანგინა, პასტელი და სხვა) სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრის შესრულების კომპოზიციური კანონები; ენკაუსტიკის სადებავების გამოყენების სპეციფიკა; სხვადასხვა ტიპის გრუნტების დამზადების ტექნოლოგია. <p>კომპიუტერული დიზაინისა და დაზგური გრაფიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> გრაფიკული და ვექტორული პროგრამები (CorelDRAW, Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Adobe Indesign Adobe Flash); შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურის, მუყაოზე გრაფიურის, მონოტიპის, ქსილოგრაფიის, ოფორტის (მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი) შესრულების პრინციპები; სხვადასხვა ტიპისა და სახეობის პლაკატის, წიგნის გრაფიკის, ქართული და ლათინური შრიფტების გარნიტურის შესრულების წესები. 	
მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფებსაცმლის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში	

კურსდამთავრებულმა იცის:

- ტანსაცმლის სხვადასხვა ტიპის საკოლექციო ანსამბლის ესკიზებისა და შესაბამის მასალაში შესრულების წესები;
- ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლები;
- ფეხსაცმლის დიზაინის კომპოზიციური თავისებურებები;
- ფეხსაცმლის დიზაინის სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციის (თარგის) შემუშავების წესები;
- მხატვრული ტექსტილის დიზაინის სხვადასხვა სახეობის (ბატვიკა, თექა, გობელენი, ხალიჩა) და მათი პრაქტიკულად შესრულების ტექნოლოგიური თავისებურებები.

ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვის, კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულმა იცის:

- მონუმენტური მოხატვის კომპოზიციის პრინციპები; მონუმენტური მოხატვისათვის საჭირო მასალების (ტემპერა, მოზაიკა, შამოთი) მახასიათებლები და ტექნოლოგიური თავისებურებები;
- კერამიკის ხელოვნების კომპოზიციური კანონები (სივრცობრივი აზროვნება, ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტის ერთიანობა, მასალა და სხვ.) და შესაბამის მასალაში მუშაობის წესები;
- მხატვრული მინის დიზაინის შემდეგი სახეობები - მინის სუვენირები, ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო, მინის დეკორატიული ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა, მინის მონუმენტური ფორმები ინტერიერისა და ექსტერიერისთვის - და მათ კომპოზიციური თავისებურებები; მხატვრული მინის დიზაინის აღნიშნული სახეობებისთვის საჭირო მასალები და ამ მასალებით მუშაობის ტექნოლოგია;
- ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის კომპოზიციის შესრულების სპეციფიკა კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD.

ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულმა იცის:

- ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის სხვადასხვა ტიპების ესკიზის შესრულებისა და მასალაში (შავი ლითონების ცხელი და ცივი დამუშავება, ფერადი ლითონების ფურცლოვანი მასალის ჭედურობა, მოდელირება-ჩამოსხმა) განხორციელების წესები;
- მართლმადიდებლური ხატისა და ფრესკის შესრულებისთვის საჭირო კანონიკა და დოგმები.
- ხის მხატვრული დამუშავების კომპოზიციური თავისებურებები და დეკორატიული ნიმუშების შესრულების წესები;
- ნაგებობების აზომვისა და პროექტირების წესები კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD.

საიუველირო ხელოვნების (ოქრომჭედლობა და მინანქარი) მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულმა იცის:

- ძვირფასი ლითონების სინჯების განმასხვავებელი ნიშნები; საოქრომჭედლო იარაღების მახასიათებლები; სხვადასხვა ტიპის საიუველირო ნაკეთობისთვის ესკიზის შესრულების წესები;
- მინანქრის ხელოვნების ნებისმიერი სახეობის ნამუშევრის პრაქტიკულად შესრულების ტექნოლოგიური წესები;
- მცირე პლასტიკის ნამუშევრისთვის სხვადასხვა ტიპის ესკიზის შესრულების პრინციპები, სათანადო მასალებისა და იარაღის გამოყენების წესები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

- აკადემიური ხატვის ძირითადი კანონების (კონსტრუქციული და პლასტიკური), ხატვის თეორიული და პრაქტიკული ელემენტების, ფორმის აგების ლოგიკისა და სივრცის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გამოყენება სახატავი მასალებით პლასტიკისა და ფაქტურის გადმოცემის დროს;
- კოლორისტული ფერწერის უმნიშვნელოვანესი კანონების (ფერი, ტონი, კოლორიტი, განათება) გათვალისწინებით, ფერწერული მასალების (აკვარელი, გუაში, ტემპერა, ზეთი) ტექნოლოგიური თავისებურებების დაცვით სხვადასხვა ტიპის ფერწერული ნამუშევრის შესრულება;
- შემოქმედებითი ამოცანის ამოსახსნელად დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება.
- ნამუშევრის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

დაზგური ფერწერისა და ენკაუსტიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაზგური ფერწერის კომპოზიციის ძირითადი კანონების, გამომსახველობითი ელემენტების (სასურათო სიბრტყე, გეომეტრიული ცენტრი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი, ხედვის წერტილი და სხვ.) გამოყენება შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრისას; სხვადასხვა ჟანრის (ნატურმორტი, ინტერიერი, პეიზაჟი და სხვ.) დაზგური ფერწერის ნამუშევრის შექმნა კომპოზიციური კანონების დაცვით;

- ნახატის კომპოზიციის გამომსახველობითი ელემენტების გამოყენებით და სხვადასხვა სახატავი მასალით (ფანქარი, ნახშირი, სოუსი, ტუში, სანგინა, პასტელი და სხვა) სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრის შესრულება კომპოზიციური კანონების დაცვით;
- ენკაუსტიკის საღებავების გამოყენებით საავტორო ნამუშევრის შექმნა;
- სხვადასხვა ტიპის გრუნტების დამზადება და მათი გამოყენება; ტემპერის საღებავების დამზადება და მათი გამოყენება.

კომპიუტერული დიზაინისა და დაზგური გრაფიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გრაფიკულ და ვექტორულ პროგრამებში (CorelDRAW, Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Adobe Indesign Adobe Flash) მუშაობა; სხვადასხვა ტიპის სირთულის კომპოზიციის შესრულება აღნიშნული კომპიუტერული პროგრამებით;
- შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურის, მუყაოზე გრაფიურის, ოფორტის (მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი, აკვატინტა, მეცო-ტინტო, ლავისი) შესრულება ესკიზის შესაბამისად;
- სხვადასხვა ტიპისა და სახეობის პლაკატისა და წიგნის გრაფიკის შესრულება შესაბამისი ქართული ან ლათინური შრიფტის გარნიტურის გამოყენებით.

ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვის, კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ესკიზის შესრულება მონუმენტური მოხატვის კომპოზიციის სპეციფიკური პრინციპების დაცვით; მონუმენტური მოხატვისათვის საჭირო მასალებით (ტემპერა, მოზაიკა, შამოთი) სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის შესრულება;
- ესკიზის შესრულება კერამიკის ხელოვნების სპეციფიკური კომპოზიციური კანონების (სივრცობრივი აზროვნება, ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტის ერთიანობა, მასალა და სხვ.) გათვალისწინებით; ესკიზის შესაბამისი მკვეტის შესრულება და მზა ნამუშევრის შექმნა გამოწვით;
- მხატვრული მინის დიზაინის შემდეგი სახეობებისთვის - ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო, მინის დეკორატიული ქანდაკებისა და ტიფანის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრისთვის ესკიზის შესრულება მხატვრული მინის ამ სახეობების კომპოზიციური თავისებურებების გათვალისწინებით; ნამუშევრის შესრულება მასალაში ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებისა და წარმოების რეჟიმის დაცვით;
- ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის კომპოზიციის შესრულება სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD აგების პრინციპებისა და ინტერიერისა და ექსტერიერისთვის დამახასიათებელი დეტალების გამოყენებით.

მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ტანსაცმლის სხვადასხვა ტიპის საკოლექციო ანსამბლის ესკიზირება და შესაბამის მასალაში შესრულება;
- ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლების ტრადიციული ხერხების (სპეციალური კანონები და წესები) გამოყენება თარგის შემუშავებისას;
- მოდელის სირთულის მიხედვით ნიმუშების თარგის მიღება და მკვეტის დამზადება;
- ფეხსაცმლის დიზაინის სხვადასხვა სახეობისთვის ესკიზის შემუშავება;
- ფეხსაცმლის დიზაინის სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციის (თარგის) შემუშავება; მოდელის მასალაში შესრულება ტექნოლოგიური წესების დაცვით;
- მხატვრული ტექსტილის დიზაინის სხვადასხვა სახეობის (ბატიკა, თექა, გობელენი, ხალიჩა) ნამუშევრისთვის ესკიზის შესრულება; მხატვრული ტექსტილის სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის პრაქტიკულად შესრულება ტექნოლოგიური თავისებურებების დაცვით.

ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მოდულის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის სხვადასხვა ტიპის ესკიზის შესრულება და მასალაში (შავი ლითონების ცხელი და ცივი დამუშავება, ფერადი ლითონების ფურცლოვანი მასალის ჭედურობა, მოდელირება-ჩამოსხმა) განხორციელება;
- სხვადასხვა ტიპის ხატის შესრულება ხატისა და ფრესკისთვის დამახასიათებელი კანონიკისა და დოგმების დაცვით;
- ნაგებობების აზომვა და პროექტირება კომპიუტერულ პროგრამა ArchiCAD.
- ხის მხატვრული დამუშავებისთვის ესკიზის შექმნა და სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის შესრულება შესაბამისი იარაღებით.

საიუველირო ხელოვნების (ოქრომჭედლობა და მინანქარი) მოდულის არჩევის შემთხვევაში
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საოქრომჭედლო, მინანქრისა და მცირე პლასტიკის ხელოვნების ნიმუშებისთვის ორიგინალური ესკიზების შემუშავება;
- საიუველირო ხელოვნების (ოქრომჭედლობა, მინანქარი) ნებისმიერი სახეობის ნამუშევრის პრაქტიკულად შესრულება ტექნოლოგიური თავისებურებების დაცვით;
- მცირე პლასტიკის ნამუშევრის ორიგინალური ესკიზის მიხედვით მოდელის მასალაში შესრულება ტექნოლოგიური წესების დაცვით.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება შემოქმედებითი ამოცანის ამოსახსნელად და პრობლემის გადასაჭრელად;
- სხვისი და საკუთარი ნამუშევრის, შერჩეული მასალისა და კომპოზიციის არჩევანის შეფასება და ამ არჩევანის დასაბუთება ნამუშევრის კონცეფციიდან გამომდინარე; მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

- დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; კომუნიკაციისას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- ჯგუფში ეფექტურად მუშაობა.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

- საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
- დროის ეფექტური განაწილება.

6. ღირებულებები

კურსდამთავრებული:

- აცნობიერებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს; შეუძლია პლაგიატის თავიდან აცილება.
- აქვს კულტურული მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურულობის პატივისცემის უნარი;
- შეუძლია მონაწილეობის მიღება ლიბერალური ღირებულებების ფორმირების პროცესში.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური და წერითი მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- ინდივიდუალური მუშაობა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები.

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამის სავალდებულო კურსები – 24 კრედიტის ოდენობით
2. სავალდებულო კურსები - 24 კრედიტის მოცულობით - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი არჩევითი მოდულიდან:
 - დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა
 - კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა
 - ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი
 - მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი
 - ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება
 - საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი).
3. არჩევითი კურსები პროგრამის ნებისმიერი ბლოკიდან - 12 კრედიტის მოცულობით

პროგრამა აწყოილია საფეხურებრივი გართულების პრინციპით, რაც იმითაა უზრუნველყოფილი, რომ თითოეულ საგანს აქვს წინაპირობა სხვა (საფეხურის) საგნის სახით. სტუდენტმა თანმიმდევრულად უნდა გაიაროს დარგობრივი კურსების საფეხურები.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

- (A) 91-100 ფრიადი
- (B) 81-90 ძალიან კარგი
- (C) 71-80 კარგი
- (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51-60 საკმარისი
- (FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი პროფილის შესაბამისად;
- სარეკლამო ბიზნესი;
- დიზაინერული კომპანიები;
- ფეხსაცმლისა და ტექსტილის საწარმოები;
- სამოდულო სახლები და ატელიეები;
- ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური;
- სამკერვალო სალონები;
- კერძო და სახელმწიფო საწარმოები
- საიუველირო სალონები;
- საიუველირო ქარხანა;
- სამინანქრო სახელოსნოები.
- კერძო ბიზნესი

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- დარგობრივი აუდიტორია-სახელოსნოები შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით;
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- სალექციო აუდიტორიები;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;
- სხვადასხვა საწარმო, რომლებთანაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრს აკავშირებს თანამშრომლობა (ფეხსაცმლის საწარმო „ნეო სტუდო“, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს“ ხელოვნების სტუდია „კარიტასი“, არქიტექტურული კომანია შპს „X ლაინი“, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ასოციაცია „არილი“, შპს „დეგაპრინტი“, კერამიკის საწარმო, მოდის სახლი შპს „ზიმი“, მინის საწარმო, ლითონის მხატვრული დამუშავების საამქრო „IRON ART“, საპროექტო კომპანია შპს „ლაინკუბი“, „კარიტასი“ - ტიხრული მინანქრის სახელოსნო, მხატვრულ ნაკეთობათა ფაბრიკა შპს „ჯავარი ლტდ“, „კარიტასი“ - ხატწერის სახელოსნო, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
- სხვადასხვა მხატვარი, რომლებთანაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრს აკავშირებს თანამშრომლობა და რომელთა სახელოსნოებშიც ცენტრის სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ დამატებითი პრაქტიკა (საქართველოს სახალხო მხატვრები დიმიტრი ერისთავი, ლევან ცუცქერიძე, ზურაბ ნიჭარაძე, გივი თოიძე)

კურსების ჩამონათვალი

№	კურსები	სტატუსი (სავალდებულო ან არჩევითი)	კურსების წინაპირობები	ლექტორი	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრი	
							შემ	გაზ
პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკი 24								
	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო		თამარ ნინიკაშვილი	6	120	X	
	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	ზაქარია ფიცხელაური	6	120		X
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: თაბაშირის თავის ასლები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ნინიკაშვილი	6	120	X	
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 2: ადამიანის თავი. სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: თაბაშირის თავის ასლები. სტუდიური კურსი	მარინა ნასიმე	6	120		X
სავალდებულო-არჩევითი ბლოკები 36								
დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა								
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 1: ნატურმორტის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120	X	
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 2: ინტერიერის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 1: ნატურმორტის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120		X
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 3: პეიზაჟის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 2: ინტერიერის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120	X	
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 4: სიუჟეტური კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 3: პეიზაჟის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120		X
	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60	X	
	ენკაუსტიკის ხელოვნება 2: ტრადიციული და თანამედროვე	სავალდებულო	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა.	თამარ ხარბედია	6	60		X

	ენკაუსტიკის მიქსი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი		ანალიტიკურ- სტუდიური კურსი					
	ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 1. სტუდიური კურსი	არჩევითი		თამარ ხარბედია	6	60	X	
	ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 2. სტუდიური კურსი	არჩევითი	ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 1. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60		X
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა								
	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 1: CorelDRAW. შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120	X	
	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრაფიურა მუყაოზე. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 1: CorelDRAW. შავ- თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120		X
	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 3: Adobe Photoshop. Adobe Indesign მონოტიპია და ქსილოგრაფია. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრაფიურა მუყაოზე. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120	X	
	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 4: Adobe Flash. ოფორტი-მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 3: Adobe Photoshop. Adobe Indesign მონოტიპია და ქსილოგრაფია. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120		X
	გამოყენებითი გრაფიკა 1: ქართული შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60	X	
	გამოყენებითი გრაფიკა 2: ლათინური შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	გამოყენებითი გრაფიკა 1: ქართული შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60		X
	გამოყენებითი გრაფიკა 3: პლაკატის ხელოვნება. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	გამოყენებითი გრაფიკა 2: ლათინური შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60	X	
	გამოყენებითი გრაფიკა 4: წიგნის გრაფიკა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	გამოყენებითი გრაფიკა 3: პლაკატის ხელოვნება. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60		X
მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი								
	ტანსაცმლის დიზაინი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები	ნინო	6	120	X	

	და კონსტრუირება 1: ქალის კლასიკური სამოსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი		ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	მგალობლიშვილი, მზევინარ მამფორია				
	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: ქალის სეზონური სამოსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: ქალის კლასიკური სამოსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვილი, მზევინარ მამფორია	6	120		X
	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: სამოსი ეთნოგრაფიული ელემენტებით. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: ქალის სეზონური სამოსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვილი, მზევინარ მამფორია	6	120	X	
	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4: პიჯაკი და ლაზადა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: სამოსი ეთნოგრაფიული ელემენტებით. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვილი, მზევინარ მამფორია	6	120		X
	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 1: ბატიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60	X	
	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 2: თექის პანო, მიქსი და ყოფითი თექა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 1: ბატიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60		X
	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 3: ფარდაგი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 2: თექის პანო, მიქსი და ყოფითი თექა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60	X	
	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 4: ხალიჩა, გობელენი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 3: ფარდაგი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60		X
	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60	X	
	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60		X
	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60	X	
	ფეხსაცმლის დიზაინი	არჩევითი	ფეხსაცმლის დიზაინი	ნინო	3	60		X

და კონსტრუირება 4: ქალის ჩემა და კლასიკური ფესხაცმელი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)		და კონსტრუირება 3: მამაკაცის ფესხაცმელი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	წიქორიძე				
ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი							
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 1. კერამიკული ფორმები სხვადასხვა ტექნიკით. გეომეტრიული ფორმები. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	დავით ძაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120	X	
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 2. ორნამენტული კომპოზიცია ინტერიერისა და ექსტერიერისთვის. ზედაპირის მორთულობა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 1. კერამიკული ფორმები სხვადასხვა ტექნიკით. გეომეტრიული ფორმები. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	დავით ძაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120		X
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 3. სტილიზირებული გამოსახულება მონუმენტურ ხელოვნებაში. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 2. ორნამენტული კომპოზიცია ინტერიერისა და ექსტერიერისთვის. ზედაპირის მორთულობა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	დავით ძაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120	X	
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 4. დეკორატიული ობიექტები და პანო. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 3. სტილიზირებული გამოსახულება მონუმენტურ ხელოვნებაში. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	დავით ძაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120		X
ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 1: ინტერიერი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 2: ექსტერიერი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 1: ინტერიერი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X
ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 3: ინტერიერისა და ექსტერიერის კომპოზიტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 2: ექსტერიერი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 4: ინტერიერისა და	არჩევითი	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 3: ინტერიერისა და	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X

	ექსტერიერის რთული კომპოზიტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი		ექსტერიერის კომპოზიტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი					
	მხატვრული მინის დიზაინი 1: მინის სუვენირები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60	X	
	მხატვრული მინის დიზაინი 2. ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მხატვრული მინის დიზაინი 1: მინის სუვენირები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60		X
	მხატვრული მინის დიზაინი 3. მინის ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მხატვრული მინის დიზაინი 2. ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60	X	
	მხატვრული მინის დიზაინი 4. მინის მონუმენტური ფორმები ინტერიერისა და ექსტერიერისათვის. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	მხატვრული მინის დიზაინი 3. მინის ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60		X
ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება								
	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 1: სადღესასწაულო ხატი. ლითონის დეკორატიული აქსესუარები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120	X	
	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 2: ღვთისმშობლისა და წმ.ნიკოლოზის ხატები. საინტერიერო დეკორი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 1: სადღესასწაულო ხატი. ლითონის დეკორატიული აქსესუარები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120		X
	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 3: ხარებისა და მახარებლის ხატი. ჭედურობა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 2: ღვთისმშობლისა და წმ.ნიკოლოზის ხატები. საინტერიერო დეკორი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120	X	
	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 4: ფერისცვალებისა და მირქმის ხატი. სინთეზი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული	არჩევითი	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 3: ხარებისა და მახარებლის ხატი. ჭედურობა. ანალიტიკურ-	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120		X

	პრაქტიკით)		სტუდიური კურსი					
	ქანდაკება და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თეიმურაზ ქუთათელაძე, რამაზ არავიაშვილი	6	120	X	
	ქანდაკება და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 2: ორნამენტული დეკორი. სტუდიური კურსი	არჩევითი	ქანდაკება და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	თეიმურაზ ქუთათელაძე, რამაზ არავიაშვილი	6	120		X
	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 1: საცხოვრებელი სახლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 2: ისტორიული ნაგებობები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 1: საცხოვრებელი სახლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X
	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 3: ისტორიული ძეგლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 2: ისტორიული ნაგებობები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
	ხის მხატვრული დამუშავება 1: ზარელიფი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ქანდაკება და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 2: ორნამენტული დეკორი. სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60	X	
	ხის მხატვრული დამუშავება 2: რთული დეკორატიული კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ხის მხატვრული დამუშავება 1: ზარელიფი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60		X
	ხის მხატვრული დამუშავება 3: ფიგურაიანი კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ხის მხატვრული დამუშავება 2: რთული დეკორატიული კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60	X	
საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი)								
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-	სავალდებულო	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120		X

	სტუდიური კურსი		სტუდიური კურსი					
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 3: გრავერებელი სამაჯური, წნული და წმ. ნინოს ჯვარი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 4: მამაკაცის ბეჭედი, რთული საყურე, ორნამენტური სამაჯური, მინანქრული ხატი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 3: გრავერებელი სამაჯური, წნული და წმ. ნინოს ჯვარი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120		X
	მცირე პლასტიკა 1. მოცულობითი პლასტიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60	X	
	მცირე პლასტიკა 2. სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე. სტუდიური კურსი	სავალდებულო	მცირე პლასტიკა 1. მოცულობითი პლასტიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60		X
	მცირე პლასტიკა 3. სივრცობრივ მოცულობითი კონსტრუქცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მცირე პლასტიკა 2. სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე. სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60	X	
	მცირე პლასტიკა 4. პლასტიკური ორნამენტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მცირე პლასტიკა 3. სივრცობრივ მოცულობითი კონსტრუქცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60		X